არქეოლოგ, ისტორიის ოქტორის მერაბ ძნელაძის

არქეოლოგიური ზედამხეველობის მოკლე-წინასწარული

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წლის ნოემბერ-დეკემბრისა და 2024 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში თბილისში („აბანოთუბანი“), გრიშაშვილის ქ. №11 -ში მდებარე აბანო №7 -ის კომპლექსის ტერიტორიაზე ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო - სარემონტო და გაწმენდითი სამუშაოებისას (საფუძველი: თბილისის არქიტექტურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, №6722789; 26.10.2023) არქეოლოგიური ზედამხეველობა ჩავატარე.

აბანო №7 თბილისის ისტორიულ ნაწილში -„აბანოთუბანში“ მდებარეობს, მისი კომპლექსი ორი ძირითადი და რამდენიმე მცირე მოცულობის ნაგებობებისაგან შედგება. ისტორიული პერიპეტიებიდან გამომდინარე აბანო რამდენიმეჯერ იქნა სახეშეცვლილი. განსაკუთრებით კი რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა (1801 წ.) და საბჭოთა კავშირის დროს. თუმცა, თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას იგი თავიდანვე ასრულებდა და დღესაც აგრძელებს მას.

აბანოს არსებობის სხვადასხვა ეტაპებისა და არქიტექტურული დეტალების დადგენის მიზნით, ინტერიერის რიგ ადგილებში, გავლებული იქნა სადაზვერვო თხრილები და შურფები. შურფები გაკეთდა, აგრეთვე, შენობის კონსტრუქციული მდგრადობის გარკვევასთან დაკავშირებითაც.
მიწის სამუშაოების დროს, დაფიქსირდა აბანოს არსებობის ხვადასხვა ეტაპების ფენები და სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული დეტალები.

არქეოლოგიური ზედამხედველობა შეეხო, აგრეთვე, აბანოს კომპლექსის ეზოს სივრცეში ჩატარებული გაწმენდითი ხასიათის მიწის სამუშაოებსაც.

აღსანიშნავია აბანოს სხვადასხვა ნაწილებში ადრეული ხანის „ქართული აგურით“ ნაგები კოლექტორების გამოვლენა და მათი გაწმენდვა. ასევე, დიდი დარბაზის შესასვლელ ოთახში შადრევნის ნაშთის გამოვლენა.

არქეოლოგიური არტეფაქტები, ძირითადად, ეზოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებისას დაფიქსირდა. მათგანის უმეტესი ნაწილი XVIII-XIX სს. და XX ს-ის პირველი ნახევრის ნაშთებს წარმოადგენენ, თუმცა, ნაყარ ფენებში განვითარებული შუასაუკუნეების დროინდელი (XI-XIV სს.) კერამიკა (მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები) აღმოჩნდა.

საკვლევაძიებო ტერიტორია საკმაოდ დიდია, ამასთანავე, ძეგლი მრავალფენიანია რაც მოითხოვს განსაკუთრებულად ფრთხილ მოპყრობასა და

შესწავლას. ძეგლის გაწმენის ჩატარების პროცესში დგინდება, რომ სასურველია, ჩვენი აზრით - აუცილებელიც, კვლევა-ძველი ფენების გამოვლენის პროცესი, რესტავრატორთა შეხეულებისამებრ გაგრძელდეს.























აბანოს დიდი დარბაზი. შურფების განლაგების ნახაზი

1 სართულის გეგმა
ფრაგმენტი



დამკვეთი:	შემსრულებელი:	ქ. ობილისი. ი. ბრეშაშვილის ქ. № 11.	
შპს „აბანო 7“ ს.კ. 202451364	შემსრულებელი: შ.პ.ს. "აკრიანი" ს.კ. 204515596	„მირზოევის აბანო" აბანო № 7 შენობის კვლევის პროექტი	

დირექტორი	ნ. ზაზუნიშვილი	პრ.არქიტექტ.	
პრ.ავტორი	ი. ნაბლაძე	შესრულა	ი. ნაბლაძე
პრ.არქიტექტ.	ზ.ოგოლაძე	შეამოწმა	გ. ციციშვილი
პრ.არქიტექტ.	გ. ციციშვილი	თარიღი	10.17.2023

აბანოს დიდი დარბაზი.
შურფების განლაგების ნახაზი

ფორმ. A-3 | ს.ფ. - 18